საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 24237/1
24/08/2026

24237-1-2-202608241531

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ლევან ტეფნაძეს

ბატონო ლევან,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (შემდგომში - კომპანია) განიხილა თქვენი №6/43705 წერილი თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში მდებარე 13992 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N61.11.22.468) და 160 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N61.11.22.620) მიწის ნაკვეთების დაყოფის შედეგად მიღებული 336 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N61.11.22.639) პრივატიზების საკითხს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, №6/43705 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N61.11.22.639) განთავსებულია კომპანიის კუთვნილი წყალმომარაგების დ=110 მმ-იანი მოქმედი მილსადენი (საკადასტრო კოდი: 61.00.264) (იხ. დანართი).

კომპანია არ არის წინააღმდეგი, მითითებული მიწის ნაკვეთის პრივატიზება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მომავალში მესაკუთრ(ეებ)ის მიერ დაცული იქნება მასზე განთავსებული, კომპანიის კუთვნილი წყლმომარაგების ქსელის ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალი (წყალმომარაგების მილსადენის კედლებიდან 5-5 მეტრი), წინამდებარე წერილზე თანდართული აზომვითი სამუშაოების ციფრული ვერსიის შესაბამისად და სანიტარიული წესები, საქართველოს საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა.

გიგზავნით, აღნიშნული ქსელის (მისი მონაკვეთის) ექსპლუატაციისათვის საჭირო სანიტარული ზოლის (წყალმომარაგების მილსადენის კედლებიდან ორივე მხარეს 5-5 მეტრი დაშორება) აზომვითი სამუშაოების ციფრულ ვერსიას, კომპანიის სასარგებლოდ უსასყიდლო სერვიტუტის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ქსელის ექსპლუატაციის ვადით (მომავალში, აღნიშნული ქსელის დაზიანების თავიდან აცილების, ასევე ავარიის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების შეუფერხებლად და ოპერატიულად განსახორციელებლად).

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

გასათვალისწინებელია, რომ დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია წყალმომარაგების დ=110 მმ-იანი მოქმედი მილსადენი (საკადასტრო კოდი: 61.00.264) გადატანილ იქნას №6/43705 წერილში ხსენებული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკადასტრო საზღვრებიდან. აღნიშნულის მიზნით, დაინტერესებული პირმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს წყალმომარაგების მილსადენის გადატანის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და კომპანიაში წარმოდგენა შესათანხმებლად. შეთანხმების შემდგომ კი, პროექტით გათვალისწინებული, ქსელის გადატანის სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით, კომპანიის წარმომადგენლ(ებ)ის ტექნიკური ზედამხედველობით და საკუთარი სახსრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №6/43705 წერილში მითითებული ქონების პრივატიზება წინამდებარე წერილში მითითებული პირობების დაცვით, არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

დანართი: 1. სიტუაციური ნახაზი;
2. ელ. ფაილი.

გიორგი გიორგობიანი

დირექტორი (მოვალეობის შემსრულებელი)

1:500

NAPR

40

25

110

დაინტერესებაში არსებული ნაკვეთი ს/კ კოდით 61.11.22.639

ბუფერი

წყალზე ორივე მხარეს 5მ

კანალიზაციაზე ორივე მხარე 3მ

საშემსრულებლო წყლის მილი

წყლის ჭა

წყლის მილი

რეზერვუარი

ჭაბურღილი

მიდრანტი

წყალარინების ჭა

წყალარინების მილი

კომპანიის ნაკვეთი